

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

ქ. ბათუმი

06 მარტი 2015 წ.

ბრძანება № 01-08/14

ხელოვნების უნივერსიტეტის სტუდენტთა საუნივერსიტეტო
სახელობითი სტიპენდიის მოსაპოვებლად კონკურსის გამოცხადებისა და
ვადების დადგენის შესახებ

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, „უმადლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის I პუნქტის; ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლისა და „სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა სახელობითი სტიპენდიის გაცემის წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს კონკურსი აბუსერისძე ტბელის სახელობის (1 ადგილი) საუნივერსიტეტო სახელობითი სტიპენდიის მოსაპოვებლად.

2. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად განცხადების წარდგენის უფლება აქვს ხელოვნების უნივერსიტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებს სწავლების მეორე წლიდან (მესამე სემესტრიდან), თუ:

- საუნივერსიტეტო სტიპენდიის მისაღებად კონკურსის გამოცხადების მომენტისათვის სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ყველა დისციპლინაში აქვს 91 და მეტი ქულა, გამონაკლის შემთხვევაში დისციპლინების 1/4-ში აქვს შეფასება 81 და მეტი ქულა.

- შესაბამისი სპეციალობის მიხედვით აქვს შემოქმედებითი აქტივობა და წარმატებები (მონაწილეობა გამოფენებში, კონცერტებში, კონკურსებში, სპექტაკლები და ა.შ.)

თეორიული მიმართულებით:

- სახელობითი სტიპენდიის კანდიდატს კონკურსის გამოცხადების მომენტისათვის სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ყველა დისციპლინაში აქვს 91 და მეტი ქულა, ან, გამონაკლის შემთხვევაში, დისციპლინების 1/4 -ში აქვს შეფასება 81 და მეტი ქულა.

- გამოქვეყნებული აქვს ნაშრომი შესაბამის სპეციალობაში ან არის სხვადასხვა სამეცნიერო ან სასწავლო კონფერენციების, სემინარების, სიმპოზიუმების და ა. შ. მონაწილე და აქვს მიღწევები.

3. საკონკურსო დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს:

ა) განცხადებას კონკურსში მონაწილეობის შესახებ, (დანართი 1)

ბ) სასწავლო-შემოქმედებით/სამეცნიერო ავტობიოგრაფიას (CV). (დანართი 2)

გ) სამეცნიერო კონფერენციის, სემინარის, სიმპოზიუმის, შემოქმედებითი წარმატებების და სხვა ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობის დამადასტურებელი დიპლომ(ებ)ის, სიგელ(ებ)ის, სერთიფიკატის, პროგრამების და სხვა დედანს ან ნოტარიულად დამოწმებულ ასლებს;

დ) პირადობის მოწმობის ასლს;

ე) სტუდენტის აკადემიური მოსწრების დამადასტურებელი სასწავლო ბარათის ასლი ფაკულტეტის დეკანის მიერ დამოწმებული;

ვ) სტუდენტის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომ(ებ)ის დედანს ან დამოწმებულ ასლს;

ზ) არანაკლებ ერთ რეკომენდაციას პროფესორისაგან, რომელიც კარგად იცნობს პრეტენდენტის სასწავლო-შემოქმედებით და სამეცნიერო საქმიანობას.

4. საკონკურსო დოკუმენტაცია საკონკურსო კომისიის მიერ არ განიხილება (არ შეფასდება) შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ კონკურსანტის მიერ არ არის წარმოდგენილი ყველა საჭირო დოკუმენტაცია ან/და ინფორმაცია;

ბ) თუ კონკურსანტის მიერ ინფორმაცია/დოკუმენტები წარმოდგენილი არ არის შესაბამისი ფორმის დაცვით (ხელმოწერა, ბეჭედი, ნოტარიული დამოწმება და ა.შ.);

გ) თუ კონკურსანტს აქვს ფინანსური დავალიანება

დ) „სტუდენტთა სახელობითი სტიპენდიის გაცემის წესი“-ით აკრძალულ სხვა შემთხვევებში.

5. კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს სტიპენდიის მინიჭების კომისიაში (მისამართი: ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის ქ. № 37. ოთახი №42), 2015 წლის 09 მარტიდან 2015 წლის 19 მარტის ჩათვლით, 10 საათიდან - 16 საათამდე, გარდა შაბათ-კვირისა და უქმე დღეებისა.

6. კონკურსანტთა განცხადებების განხილვა იწარმოებს 2015 წლის 23 მარტიდან. საბოლოო შედეგები გამოქვეყნდება 2015 წლის 25 მარტის შემდეგ.

7. ბრძანება გამოქვეყნდეს ხელოვნების უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ფაკულტეტების საინფორმაციო დაფებზე.

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი

ერმილე მესხია